ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 2 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „----------“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ფ. კუკავა, ს. ბერაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „----------“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც განაცხადა, რომ საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/5-ის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ წარდგენილია ქალბატონ დოდო გაბუნიას კანდიდატურა და სთხოვა საკრებულოს აპარატს მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხობის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიასთან ერთად უზრუნველყოს საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოცხადდა **შესვენება 30 წუთით.**

შესვენების შემდგომ

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ხობის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია არჩევნების შედეგების შესახებ და განკარგულების პროექტი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/5 მიერ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულ იქნა დოდო გაბუნიას კანდიდატურა. ფარული კენჭისყრით სიაში შეტანილი იყო დოდო გაბუნიას კანდიდატურა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 21 წევრმა, გაიცა 21 ბიულეტენი, ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 21. საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის დოდო გაბუნიას სასარგებლოდ ხმა მისცა 21 წევრმა, წინააღმდეგ არცერთმა, ბათილი ბიულეტინების რაოდენობა იყო 0.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ხმების უმრავლესობით არჩეულ იქნა დოდო გაბუნია.

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა ქალბატონ დოდო გაბუნიას საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ მაქსიმუმს გააკეთებს, რათა მათი ნდობა გაამართლოს ხობის მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მედეა თათარიშვილი
9. ლევანი ლიპარტია
10. აკაკი მალანია
11. გიორგი გვასალია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ბექა ხარბედია
14. ფრიდონი კუკავა
15. მაკა ჩარტია
16. სერგო ბერაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. დიტო ხასია